პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 სექტემბერი, კვირა, 1986 წ.
№ 188 (2349) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარი:

„ოქრო" – ეკა ზეთურიძე (ტანვარჯიში, ხტომები);
„ოქრო" – ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში, ღერძი);
„ოქრო" – ალექსანდრე ლებედევი (ტანვარჯიში, რგოლები);

„ვერცხლი" – ხვიჩა ხდრიანი (კრივი, 54 კგ);
„ვერცხლი" – ალბერტ კაზანჯიანი (კრივი, 57 კგ);

„ბრინჯაო" – ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში, ტაიჭი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები ელგუჯა ბერიშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, დავით კაკაბაძე, გიორგი ჩოჩიშვილი, თამაზ ხარაბაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებენ:



ეკა ზეთურიძე — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი

# იმედები და პერსპექტივები

## ანუ ფიქრები ხმამაღლა

**საბჭოთა** კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის საერთო სატურნირო ცხრილს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან წლეულს ქულათა ჯამის ნაცვლად მხედველობაში ამა თუ იმ სახეობაში დაკავებული ადგილები მიიღება. მაგრამ ამ ცხრილს მაინც აქვს შემეცნებითი ღირებულება, თუნდაც იმიტომ, რომ ზუსტად ასახავს რესპუბლიკებში სპორტის განვითარების საერთო სურათს და განსჯისთვის საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა.

ცხრილი, მაგალითად, შეუცდომლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ IX სპარტაკიადის მთავარი ფავორიტები რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სპორტსმენები არიან და მათ შორის ბრძოლა ფინიშზე კიდევ უფრო მწვავედ და დაძაბული გახდება. ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ მოსკოველები ამ დავას კარგახანია გამოეთიშნენ და ახლა მხოლოდ მესამე ადგილზე გასვლას ცდილობენ. იგივე მიზანი აქვთ დასახული ბელორუსიელებს. სატურნირო ცხრილის ანალიზის საფუძველზე დელეგაციებს შეუძლიათ შეამოწმონ თავიანთი შედეგები და ისინი უახლოეს კონკურენტთა მაჩვენებლებს შეუდარონ.

დასამალი არ არის, რომ საქართველოს სპორტსმენებმა წლეულს საპატიო ამოცანა დაისახეს. ეს ამოცანა ღრმა და რეალურ ანალიზს ეყრდნობა და ჩვენს სპორტსმენთა შესაძლებლობებს მთლიანად შეესატყვისება.

სპარტაკიადა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ სპორტის ცალკეულ სახეობებში მოასპარეზეთა მიმართ გარკვეული პრეტენზია ჩვენს საზოგადოებრიობას, ცხადია, აქვს. ამაზე გულახდილი და პირუთვნელი საუბარი უსათუოდ გაიმართება, ოღონდ ცოტა მოგვიანებით. ახლა კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ცალკეულ ჩავარდნათა მიუხედავად (კალათბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი (ქალები), სროლა და ა. შ.) რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და ახლა გუნდური VII ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის.

ამ ბრძოლაში მისი მთავარი კონკურენტები არიან უზბეკეთისა და ლიტვის წარმომადგენლები, რომელთაც შესაბამისად 38,5 და 194 ქულით ვუსწრებთ.

ზემოთ ჩვენ გაკვრით ვახსენეთ საქართველოს მსროლელთა სუსტი გამოსვლა. როგორც ამბობენ, შეჯიბრება ამ სახეობაში ცუდ კლიმატურ პირობებში ჩატარდა, რამაც სპორტსმენთა შედეგებზე გარკვეული გავლენა იქონია; ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში სტაბილურად სროლა, მართლაც ძნელია. მაგრამ პირობები ამჯერად ხომ ყველას ერთნაირი ჰქონდა? უზბეკეთისა და ყაზახეთის მსროლელებმა ამ შეჯიბრებაში საერთოდ ვერ მიიღეს შეფასება, ვერც საქართველოს სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავი, მაგრამ ვიღაცამ ხომ გაიმარჯვა, ხომ არიან პრიზიორები, რომლებმაც თავიანთ დელეგაციებს ქულათა საკმაოდ სოლიდური მარაგი შემატეს. ჩვენც სწორედ ამაზე გვინდა ვილაპარაკოთ: საერთო ფონზე საქართველოს მსროლელები არ გამოირჩეოდნენ. ბევრი, ძალიან ბევრი დავკარგეთ ამ სახეობაში. ვფიქრობთ, საქართველოს სპორტსახკომის შესაბამისი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკები სპარტაკიადიდან დაბრუნების შემდეგ „ლელოს" ფურცლებზე ობიექტურად და პრინციპულად შეაფასებენ სპორტის ამ სახეობაში ჩავარდნის მიზეზებს.

პროგრამის დარჩენილი სახეობები საერთო გუნდურ მდგომარეობაში უსათუოდ გარკვეულ კორექტივებს შეიტანს. ახლა ბევრი რამ ნიჩბოსანთა გამოსვლებზე იქნება დამოკიდებული, მით უფრო რომ ამ სახეობაში საკმაოდ ბევრი ქულა ნაწილდება. ადვილი შესაძლებელია, სწორედ ამ სახეობამ გადაწყვიტოს VII ადგილის ბედი.

VII ადგილი ჩვენს რესპუბლიკას თითქოს მედლების რაოდენობითაც უნდა ჰქონდეს განაღდებული, ოქროს მედლებით კი VI ადგილზე მყოფ ყაზახეთსაც ვჯობნით, ყოველ შემთხვევაში, უზბეკეთი ჩვენ დელეგაციას დღეისთვის 10 მედლით ჩამორჩება. სპარტაკიადის ფინიშზე კი ასეთი დეფიციტის ლიკვიდაცია ძნელი საქმეა.

ამასთან დაკავშირებით მკითხველს ერთი საინტერესო ცნობა უნდა მივაწოდოთ: ჯილდოების სოლიდური რაოდენობა ჩვენმა სპორტსმენებმა 1971 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე მოიპოვეს — 37 მედალი. ახლა ამ მაჩვენებელს თითქმის მივუახლოვდით. დარჩენილია ისეთი სახეობები, სადაც მედლების მიღებას ველით (კრივი, ტანვარჯიში და ა. შ.) ასე რომ, IX სპარტაკიადა ამ მხრივაც შეიძლება სარეკორდო გამოდგეს.

ახლა საერთო გუნდურ ცხრილს გადავხედოთ, რომელშიც უკვე დამთავრებულ სახეობათა გარდა შეტანილია სასტენდო სროლაში, კრივში და ტანვარჯიშში მოპოვებული ქულები 26 სექტემბრის შედეგების ჩათვლით:

| | |
|---|---|
| რუსეთის ფედერაცია | 12297 ქულა |
| უკრაინა | 11483,5 |
| მოსკოვი | 8132,5 |
| ბელორუსია | 7936,3 |
| ლენინგრადი | 7049,8 |
| ყაზახეთი | 4744,7 |
| საქართველო | 3711,5 |
| უზბეკეთი | 3678 |
| ლიტვა | 3417,8 |
| ლატვია | 2688,5 |
| მოლდავეთი | 2621 |
| აზერბაიჯანი | 2016,5 |
| სომხეთი | 1900 |
| ესტონეთი | 1894,5 |
| ტაჯიკეთი | 857,5 |
| ყირგიზეთი | 840,5 |
| თურქმენეთი | 467,2 |

როგორც ვთქვით, მედლების რაოდენობით ჩვენი რესპუბლიკა VII ადგილზეა, ოქროს მედლებით კი მეექვსეზე. აი, როგორაა განაწილებული IX სპარტაკიადის ჯილდოები რესპუბლიკებს შორის:

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| რუსეთის ფედერაცია | 82 | 57 | 52 | 191 |
| უკრაინა | 53 | 63 | 46 | 162 |
| ბელორუსია | 30 | 35 | 38 | 103 |
| მოსკოვი | 32 | 32 | 32 | 96 |
| ლენინგრადი | 17 | 14 | 27 | 58 |
| ყაზახეთი | 11 | 12 | 20 | 43 |
| საქართველო | 16 | 6 | 14 | 36 |
| უზბეკეთი | 9 | 8 | 9 | 26 |
| ლიტვა | 5 | 5 | 10 | 20 |
| აზერბაიჯანი | 5 | 6 | 8 | 19 |
| მოლდავეთი | 2 | 7 | 9 | 18 |
| ესტონეთი | 3 | 8 | 6 | 17 |
| ლატვია | 6 | 4 | 6 | 16 |
| სომხეთი | 4 | 6 | 5 | 15 |
| ტაჯიკეთი | — | 4 | 1 | 5 |
| ყირგიზეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| თურქმენეთი | — | 1 | 1 | 2 |

კიდევ ერთი ინფორმაცია შედარებისთვის. გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც აღნიშნულია საქართველოს სპორტსმენთა ბოლო სპარტაკიადებზე მოპოვებული მედლები.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1971 წ. V სპარტაკიადა | 17 | 6 | 14 | 37 |
| 1975 წ. VI „—" | 7 | 6 | 36 | 49 |
| 1979 წ. VII „—" | 11 | 7 | 6 | 24 |
| 1983 წ. VIII „—" | 7 | 16 | 9 | 32 |

სპარტაკიადის სხვა მასალები იხ. მე-2 გვ.

## ელვა-ინფორმაცია

მოსკოვი. სინქრონული ცურვა. წყვილთა შეჯიბრებაში ხრისტინა ფალასინიდიმ და ნინო მაისურაძემ — მეექვსე, ხოლო ლელა მამიაურმა და ნინო გელაშვილმა მეშვიდე ადგილები დაიკავეს. ამ შედეგებით ჩვენმა გოგონებმა გუნდურ ჩათვლაში მეოთხედან მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. ასპარეზობა გრძელდება.

ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე). ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე ასპარეზობაში კახა ლომიშვილი და ედუარდ ქაშაკაშვილი VIII ადგილზე გავიდნენ.

ტალინი. თანამედროვე ხუთჭიდი (პირადი პირველობა). ფარიკაობასა და ცხენოსნობაში შეჯიბრების შემდეგ ვახტანგ იაგორაშვილს 1920 ქულა აქვს და IX-XI ადგილებს იყოფს. იური ვერბიცკიმ 1830 ქულა მოაგროვა (XVIII-XXI შედეგი).

## ზურაბ სტურუა პირველ ადგილზე

ულანბატორში (მონღოლეთი) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი მოჭადრაკე ვაჟთა შორის. 13 შესაძლებლიდან 10,5 ქულით I ადგილი მოიპოვა თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ სტურუამ.

მაია ჩიბურდანიძე — ელენა ახმილოვსკაიას მატჩი

# ბორჯომი მზადაა

**დასრულდა ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის გამართული მატჩის პირველი ნახევარი, რომელიც სოფიაში მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, ამ მატჩის მეორე ნახევარს ბორჯომი უმასპინძლებს.**

**საკავშირო** პროფსაბჭოს ლიკანის კინოსაკონცერტო კლუბის შენობა, სადაც მატჩის მეორე ნახევარი გაიმართება, უკვე მზადაა სტუმრების მისაღებად. მოკლე დროში აქ დიდი მოცულობის სამუშაოები ჩაატარა კურორტების მართვის საბჭოს თბილისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს (უფროსი რ. ასათიანი) ბორჯომის უბანმა (უფროსი მ. ლონდაძე), თითქმის მთლიანად განახლდა კინოსაკონცერტო დარბაზის სცენა და 800-ადგილიანი დარბაზი, მზადაა აგრეთვე 300-ადგილიანი მცირე დარბაზი, სადაც მოეწყობა ჭადრაკის მოყვარულთა შეხვედრები გამოჩენილ დიდოსტატებთან და სპეციალისტებთან, მატჩის საპატიო სტუმრებთან. აქვე მოეწყობა პარტიების საჯარო გარჩევა-განხილვა. მთლიანად იცვალა სახე პრეს-ცენტრმა, ფოიემ, სადაც დაიდგმება დიდი სადემონსტრაციო დაფა, კეთილმოეწყო მატჩის მონაწილეთა და მსაჯთა დასასვენებელი ოთახები. კავშირგაბმულობის სამინისტრომ პრეს-ცენტრში დადგა ორი ტელეტაიპი, იმუშავებს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ტელეფონების ხაზები.

მალე ბორჯომში ჩავლენ მატჩის მონაწილენი, მსაჯები, სპეციალისტები, ჟურნალისტები, ჭადრაკის გულშემატკივრები.

ბორჯომი ელის სტუმრებს.

მატჩი 2 ოქტომბერს განახლდება.

„ლელოს" სპეც. კორ.
ბორჯომი.

# საერთაშორისო გამოფენა „კურორტები-86"



რა არის საჭირო სპორტისა და აქტიური დასვენებისათვის? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევა საქართველოს სახალხო მეურნეობების მიღწევათა გამოფენაზე გახსნილი სპეციალური გამოფენა „კურორტები-86", რომელზეც 12 ქვეყნის 100 ფირმის ექსპონატებია წარმოდგენილი. გამოფენაზე დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე სპორტულ და ტურისტულ აღჭურვილობას, ტრენაჟორებს, სამკურნალო ფიზკულტურისთვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობებს, აქვე წარმოდგენილია სპორტისა და დასვენებისათვის საჭირო სხვა საქონელი.
გამოფენა 3 ოქტომბრამდე გასტანს.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: გამოფენის სპორტული ექსპონატები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## ქულები ძვირად ფასობს

**სინქრონული** ცურვა სპარტაკიადის ის ერთადერთი სახეობაა, რომელშიც ასაკობრივი ცენზის შემოღებას გავლენა არ მოუხდენია ასპარეზობის მონაწილეთა შემადგენლობაზე. ამ სახეობაში სასპარეზოდ 1964 წელს და შემდეგ დაბადებული სპორტსმენები დაიშვებიან, კაცმა რომ თქვას, უფრო ასაკოვანნი არცა გვყავნან, ასე რომ, სპორტის ამ სახეობაში სასპარეზოდ პრაქტიკულად ყველა უძლიერესმა მოიყარა თავი, რამაც ერთგვარი მეტი ლაზათი შემატა შეჯიბრებას. მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა ერთეულთა თანრიგში გამართული შეჯიბრება, სადაც დიდი ხანია პირველობას არ თმობდა მოსკოველი ირინა პოტიომკინა. მისთვის ეს შეჯიბრება, როგორც თავად თქვა, უკანასკნელი იყო და ამიტომ ყველას აინტერესებდა გამარჯვებული დატოვებდა თუ არა ეს სახელოვანი სპორტსმენი სარბიელს. სამწუხაროდ, პოტიომკინა მეოთხე აღმოჩნდა, გამარჯვება კი მისმა თანაგუნდელმა ტატიანა ტიტოვამ მოიპოვა. მეორე იყო ლენინგრადელი ელენა დოლჟენკო, მესამე — მოსკოველი ნ. ჩერნიაევა.

საქართველოს სპორტსმენთაგან ყველაზე უკეთ იასპარეზა თბილისელმა ხრისტინა ფალასინიდიმ (მე-7 ადგილი).

ამ სახეობაში საქართველოს კიდევ ორი წარმომადგენელი — ლელა მამიაური და ნინო მაისურაძე გამოდიოდნენ. ორივე თექვსმეტ საუკეთესოს შორის მოხვდა, რამაც გუნდს ჩასათვლელი ქულები მოუტანა. მამიაური რომ რვა საუკეთესოს შორის მოხვედრილიყო, ფინალის საგზურს მიიღებდა. მან ყველაფერი იღონა ამისათვის, მაგრამ საბოლოოდ მაინც მე-9 აღმოჩნდა.

გუნდურ პირველობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვის ნაკრები დაწინაურდა, მეორე ადგილზე რუსეთის ფედერაციის გუნდი გავიდა, მესამეზე — ლენინგრადის ნაკრები. მომდევნო ადგილები დაიკავეს საქართველოს, უკრაინისა და ბელორუსიის სპორტსმენებმა. დანარჩენი გუნდების წევრებს ჯერჯერობით არც ერთი ქულა არ აუღიათ.

საინტერესოა, რომ საქართველოს ნაკრები ლენინგრადელთა გუნდს დაახლოებით 6 ქულით ჩამორჩება, უკრაინელებს კი 20 ქულით უსწრებს. საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატებს, ვფიქრობთ, შეუძლიათ მესამე ადგილზე გადაინაცვლონ.

## გამოცდილება და პრობლემები

**პრეს-კონფერენციაზე,** რომელიც 26 სექტემბერს შედგა მოსკოვში, სსრ კავშირის ხალხთა მეცხრე საზაფხულო სპარტაკიადის მონაწილე აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციების დელეგაციების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს რესპუბლიკებში მასობრივი სპორტის განვითარებისათვის გაშლილ მუშაობაში მიღებული გამოცდილება, ისაუბრეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ახალ ფორმებზე.

ასე, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში იზრდება ისეთი მასობრივი შეჯიბრებების პოპულარობა, როგორიცაა რბენა, მასობრივი ნიჩბოსნობა, ველოსპორტი, სიმძიმეების აწევა, სათხილამურო სპორტი. მარტო ამ უკანასკნელ სახეობაში გამართულ ასპარეზობაში წელს 20 მილიონზე მეტმა სპორტის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. რესპუბლიკაში უმჯობესდება მოსახლეობის ფასიანი მომსახურება. რიტმული ტანვარჯიშისა და ათლეტური ტანვარჯიშის ფასიანი საბონემენტო ჯგუფების შემოსავალმა შარშან 8 მილიონ მანეთს მიაღწია.

საქართველოში იმართება ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებები — ე. წ. „დღეები" — ფეხბურთისა, ჯანმრთელობისა... სპორტის პროპაგანდისათვის გამოიყენება აგიტმატარებლები.

სპორტული მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ ლენინაკანელებს (სომხეთი). ქალაქში შექმნილია სპეციალური კომისია სკოლამდელებთან სამუშაოდ. საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა და შეფი ორგანიზაციების ინიციატივით ქალაქის 60 სკოლამდელ დაწესებულებაში შექმნილია საბავშვო სპორტული ქალაქები, მინი-ფეხბურთის, მძლეოსნობის, ფრენბურთის ლამაზად გაფორმებული მოედნები.

სომეხი კოლეგების გამოცდილებამ ინტერესი აღუძრა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულ მუშაკებს.

პრეს-კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა ნაკლოვანებებზეც. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ნაკლები ყურადღება ეთმობა სპორტის განვითარებას სოფლად; საქართველოში — მწვავედ იგრძნობა სპორტულ ნაგებობათა სიმცირე. რესპუბლიკებში არ ჰყოფნით სპორტული ინვენტარი. **საკდესი.**

## შეეძლოთ უკეთესად გამოსულიყვნენ

**26 სექტემბერს** ტყვიის მსროლელებმა მედლების ორი უკანასკნელი კომპლექტი გაითამაშეს. IX საკავშირო სპარტაკიადის ერთ-ერთი ჯილდო, როგორც უკვე გაცნობეთ, ნინო სალუქვაძეს ხვდა წილად — მან პნევმატური პისტოლეტით სროლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ძირითადი სერიების შემდეგ ბელორუსიელი ოლგა შილენოკი დაწინაურდა — 386 ქულა. მას სულ ერთი ქულით ჩამორჩებოდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი მარინა დობრანჩევა (რსფსრ). ნინოს მესამე შედეგი ჰქონდა — 382. მასთან ერთად ფინალში მოხვდა ჩვენი გუნდის კიდევ ერთი წევრი მეგი ხუბულაშვილი. აღსანიშნავია, რომ მეგი 20 გასროლის შემდეგ ლიდერობდა კიდეც (195 ქულა), მაგრამ ასპარეზობის მეორე ნახევარში 17 ქულით ნაკლები მოაგროვა და მე-8 ადგილზე გავიდა — 378.

ფინალს ძალთა თანაფარდობა აღარ შეუცვლია, გაიმარჯვა შილენოკმა — 481 (386+95). მეორე ადგილი დობრანჩევამ დაისაკუთრა — 480, მესამე — სალუქვაძემ — 476. მეგი ხუბულაშვილი მე-8 ადგილზე დარჩა (468) და გუნდს ცხრა ქულა შესძინა.

წლევანდელი წელი ნინო სალუქვაძისთვის, ასე ვთქვათ, „ბრინჯაოს ხანა" იყო — ორ-ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, მესამე ადგილზე გავიდა ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატშიც და აქ, სპარტაკიადაზეც ასეთივე ჯილდოს მფლობელი გახდა.

შეჯიბრების მკაცრმა პირობებმა (ქარი და სიცივე) დიდი გამოცდა მოუწყო საქართველოს ტყვიის მსროლელებს. გუნდმა 88 ქულა მოაგროვა და XIII ადგილზე გავიდა. ჩვენს ნაკრებს, რასაკვირველია, შეეძლო უკეთესად გამოსულიყო, მაგრამ ზოგიერთმა სპორტსმენმა სათანადო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა, რამდენიმეს კი უბრალოდ ბედმა არ გაუღიმა. კამო გევორქიანი, მაგალითად, მცირეკალიბრიან სტანდარტში დიდხანს ლიდერობდა. მან კარგად ისროლა წოლელა მდგომარეობიდან და დგომში, მაგრამ ჩოქელა სროლაში მოულოდნელად მეტად დაბალი შედეგი აჩვენა და ფინალის საგზური დაკარგა. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ფინალში გასვლა შეეძლო ახალგაზრდა მსროლელს სერგო სანაიას (მპ-8). მან 588 ქულა მოაგროვა, მაგრამ ასპარეზობის გადამწყვეტ ეტაპზე ბრძოლა ამ შედეგით გააგრძელა ბელორუსიელმა გ. ლისონიკმაც, რომელმაც სანაიას უკანასკნელ სერიაში ნაჩვენები შედეგით აჯობა.

„მარცვალ-მარცვალ" დაკარგული ქულები საბოლოო ჯამში იმ დანაკლისად იქცა, რამაც ჩვენს გუნდს უკეთესი ადგილი დააკარგვინა.

იქვე, მიტიშჩის სასროლეთზე დაიწყო მესტენდურეთა, კერძოდ ადგილიდან მსროლელთა ასპარეზობა. ჩვენი გუნდი 200 ქულით ჯერჯერობით მე-9 ადგილზე იმყოფება.

## დაამუხრუჭეს...

### პოლემიკური შენიშვნები

**ჩვენი სპორტსმენების წარმატებები გვახარებს, მაგრამ უკანასკნელ ხანს გულშემატკივრებს საკმაო მიზეზი გაუჩნდათ იმისათვის, რომ გული სტკიოდეთ. თუ რატომ, ამის შესახებ თავის მოსაზრებებს გვიზიარებს ალექსანდრე კიკნაძე.**

**სსრ** კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილეთა მიერ ნაჩვენები ულიმღამო შედეგების ფონზე ლენინგრადელი თარჯმბენის მარინა სტეპანოვას მსოფლიო რეკორდმა ყველას ყურადღება მიიპყრო.

— ბარაქალა თქვენ, უთხრეს მას, მაგრამ იქვე მორცხვად მოარიდეს მზერა და დაუმატეს: თუმცა პირველ ადგილს და ოქროს მედალს თქვენ ვერ მოგანიჭებთ... მაინც რა დანაშაულისთვის? მხოლოდ იმისათვის, რომ იგი 36 წლისაა.

ქება-დიდებას არასოდეს არ იშურებდნენ ადამიანისთვის, რომელიც არჩეული საქმისადმი ჭეშმარიტი ერთგულების მაგალითს აჩვენებდა ყველას, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდებს...

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა პირველად ამ 30 წლის წინ ჩატარდა. ადრე ეს შეჯიბრება სახალხო დღესასწაული გახლდათ და ჭეშმარიტად უძლიერესებს იზიდავდა. ახლა ასპარეზობის მონაწილეთა ასაკი სპორტის უმეტეს სახეობებში 23 წლით, რამდენიმეში კი 25-ით განისაზღვრა. დიახ, ჭეშმარიტი ოსტატები სარბიელს ჩამოაცილეს.

ტელეოპერატორები ცდილობენ კამერები მოარიდონ ტრიბუნებს, რადგან ტრიბუნები ცარიელია. მართლაც და, აბა ვის უნდა ულიმღამო სანახაობას უყუროს.

გვარწმუნებენ, ყველაფერი ეს იმისათვის ხდება, რომ საბჭოთა ათლეტები ოლიმპიური თამაშებისათვის უფრო უკეთ მოემზადონ. არადა, მიზანი აშკარად შეიზღუდა და მიზანს მსხვერპლად ეწირება სპორტის პროპაგანდა. ჩვენი საუკეთესო ძალების საყოველთაო დათვალიერება გადაიქცა მხოლოდ იმათ დათვალიერებად, ვინც ახლა გვაძლევს იმედს, რაღაცას გვპირდება. მაგრამ ძალისა და სიმხნევის დღესასწაული? ხალხთა სპარტაკიადა? თუ „მთავარ მიზანზე" ვლაპარაკობთ, ასეთი კითხვაც დავსვათ: ერთმანეთთან შეჯიბრებაში განა რა უნდა ისწავლონ გამოუცდელებმა და გაუწაფავებმა? ვის უნდა მიბაძონ მათ და ვისგან უნდა შეიძინონ გამოცდილება? მხოლოდ ერთმანეთისგან? განა რა გამოცდილება აქვთ ასეთი? რა სარგებლობა უნდა მოუტანოს მათ ასეთმა სწავლებამ? რა ვუყოთ იმ მემკვიდრეობითობას, რითაც ყოველთვის ასე ძლიერი და სახელოვანი იყო სამამულო სპორტი?

საერთაშორისო სარბიელზე უკიდურესად დაიძაბა ბრძოლა ოლიმპიური ფრონტით. აქ წარმატებას აღწევენ არა მხოლოდ უნარიანნი, არამედ მძიმე გამოცდაგამოვლილი, უდრეკნი და ურყევნი. ახლა ძალიან დიდი ფასი სწორედ გამოცდილებისა და ახალგაზრდობის, ასე ვთქვათ, „შენადნობს" აქვს; მხოლოდ „დაუოკებელი მგზნებარების" იმედით შორს ვერ წავალთ, თანაც, პატარა შორსაც გავიხედოთ. ხომ შეიძლება 20 წლის ახალგაზრდამ ასეთი კითხვა დაუსვას საკუთარ თავს: ღირს ვითომ სპორტს მივუძღვნა მთელი დრო, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი? რატომ უნდა ვუთხრა საკუთარ თავს უბრალო ცხოვრებისეულ სიხარულზე უარი. თუკი ოთხი წლის შემდეგ სპარტაკიადაზე, როგორც „ასაკოვანს", არ დამიშვებენ?.

მინდა ვკითხო ჩემს ძველ ნაცნობს, მოჭიდავე ანატოლი კოლესოვს — ამჟამად სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს, დღევანდელი სპარტაკიადის მთავარ მსაჯს — გახდებოდა თუ არა იგი ოლიმპიური ჩემპიონი 1964 წელს, ეს უაზრო დებულება რომ ყოფილიყო იმ დროს ძალაში იგი ხომ 27 წლის იყო მაშინ. ავდგამ და ცნობარები გადმოვქექე. აღმოჩნდა, რომ მაშინ, ტოკიოში, კლასიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩვენი ნაკრები გუნდების 29 წევრიდან 22 გახლდათ 25 წელს გადაცილებული. ალბათ ყველას შინ დატოვებდნენ.

ძალოსანი ალექსი მედვედევი 32 წლისა გახდა მსოფლიო რეკორდსმენი. ლევ იაშინი 34 წლისა აღიარეს ევროპის უძლიერეს ფეხბურთელად, არსენ მეკოკიშვილმა 40 წლისამ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი, ალექსანდრე ალიოხინმა 45 წლისამ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჭადრაკში, 63 წლის ვასილი სმისლოვი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა სამეულში შევიდა... უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს ეს სია.

ადრე სპარტაკიადის საჭადრაკო ტურნირებში 40 და მეტი დიდოსტატი მონაწილეობდა, ახლა მხოლოდ სამნი იყვნენ, დანარჩენებს უთხრეს, გვაპატიეთ, მაგრამ არ გამოგვადგებითო. მართალია, უთხრეს უფრო ზრდილობიანად, მაგრამ... ნუთუ სპორტსმენმა 23 წლის ასაკში უნდა დაამთავროს ცხოვრება, თანაც სტიმულის, აღიარებისა და ჯილდოების გარეშე?

ამ დროს სპორტში ისეთი ამბები ხდება, რაც რადიკალური ზომების მიღებას მოითხოვს.

როგორღაც უსიტყვოდ ვთმობთ პოზიციებს საერთაშორისო სარბიელზე. განსაკუთრებით საწყენია ჩავარდნები გუნდურ შეჯიბრებებში. ახლო წარსულში გვეხმარებოდა კოლექტივიზმის გრძნობა, რითაც ასე გამოირჩეოდნენ ჩვენი სპორტსმენები, ახლა კი რა ხდება? მსოფლიო ჩემპიონის წოდებებს გამოეთხოვნენ როგორც ქალთა, ისე ვაჟ კალათბურთელთა გუნდები, ხელბურთელები და წყალბურთელები, მსოფლიო პირველობაზე იმედები გაგვიცრუეს ფრენბურთელმა ქალებმა, კვლავ გული გვატკინეს ფეხბურთელებმა; მოკრივეებმა პოზიციები დაუთმეს კუბელებს, ძალოსნებმა — ბულგარელებს, ნიჩბოსნებმა — უნგრელებს, ხოლო მოცურავეები, მოციგურავეები და მოთხილამურეები ვისთან აღარ აგებენ. წინასწარ შეიძლება გამოვიცნოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოსტატებთან ჩვენი შეხვედრების შედეგები. მკვეთრად შემცირდა ჩვენი წარმომადგენლების რიცხვი მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა სიებში.

არსად (ვიცი, განა სხვისგან მსმენია) არ კეთდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის იმდენი, რამდენიც ჩვენში. არსად არ არის იმდენი ფიზკულტურის ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ასეთი გამართული, წლების მანძილზე განმტკიცებული მწვრთნელთა და სპორტსმენთა შერჩევა-მომზადების სისტემები, როგორიც ჩვენში. სწორი გზით კი მიდის ეს სახსრები და ძალები? როგორ მოხდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენები, რომლებიც ხელს უწყობენ სპორტული შედეგების ამაღლებას, ვისიც გნებავთ იმისი კუთვნილებაა და არა ჩვენი? გავიხსენოთ თუნდაც ველოსიპედის დისკოსებური ბორბლები, ტრამპლინის თხილამურები, ახალი, აეროდინამიკური თვისებებით, ჭოკები მძლეოსანთათვის, თბილი კოსტიუმები მოციგურავეთათვის. ერთადერთი, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ, ეს გახლავთ დისერტაციები... მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთათვის უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე...

მსროლელები სამამულო წარმოების თოფებისა და ვაზნების უვარგისობაზე ჩივიან, მძლეოსნები — ქაცვების, მოთხილამურეები — თხილამურების, ჩოგბურთელები — ბურთებისა და ჩოგნების ნაკლებობაზე, კმაყოფილი არიან მხოლოდ ბირთვისმკვრელები. ეს იარაღი ერთადერთია, რომელსაც ჩვენ საზღვარგარეთ არ ვყიდულობთ.

არა მგონია ომის შემდგომი წლების მანძილზე დაგვჭირვებოდა საკუთარი ძალებისადმი იმგვარი მტკიცე რწმენა, ახლა რომ გვჭირდება. დიდი ხნის ნანატრი, მაცოცხლებელი ნიავი ცხოვრებისაკენ მოუწოდებს ყველაფერს ჯანმრთელს, გაბედულს, კეთილს. ქვეყანა წინ მიაბიჯებს, სპორტი კი ამუხრუჭებს. მძიმე და ძნელია ამაზე წერა, მაგრამ არ შეიძლება საგანგაშო ზარს არ შემოჰკრა. აუცილებელია გამოიძებნოს ახალი, სპორტთან ხალხის მეტად დაახლოების ახალი გზები. ამის მძლავრი სტიმულია სპარტაკიადა. მაგრამ აი, სერიოზული პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, მოულოდნელად უცნაური ექსპერიმენტი შემოგვთავაზეს. რატომ არ მოეთათბირნენ და რჩევა-დარიგებისთვის არ მიმართეს სპორტულ საზოგადოებრიობას? სამწუხაროდ, სსრ კავშირის სპორტსახკომის საქმიანობა საჯაროობით ვერ დაიკვეხნის.

სპარტაკიადები, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებულია გამოავლინოს მოზღვავებული სპორტული ძალები და აღძრას ისინი ხალხთა და ქვეყნის სასიკეთოდ. ეს სპარტაკიადა კი ძალთა მოქცევას ემსახურება.

„კომსომოლსკაია პრავდა".
1986 წ. 23 სექტემბერი.

# რეპეტიცია მსოფლიო ჩემპიონატის წინ

### ტურნირის ექო

**თავისუფალ** ჭიდაობაში არც ისე ხშირად ტარდება შეჯიბრება, რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია თავის კალენდარში უმაღლეს რანგს („ა" კლასს) ანიჭებს. ასეთ სტატუსს შეჯიბრება იმ შემთხვევაში იღებს, როცა მასში ექვს ქვეყანაზე მეტი მონაწილეობს. თბილისის, ბულგარეთისა და ირანის საერთაშორისო ტურნირებს ამ მხრივ კონკურენტი არა ჰყოლიათ, მაგრამ ახლა ამ სამეულს ლოძიც მიემატა — ლოძის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც წლეულს (19-21 სექტემბერი) გაიმართა, თერთმეტი ქვეყნის ათლეტები მონაწილეობდნენ. საბჭოთა კავშირის გუნდი იქ ექვსი მოჭიდავით წარსდგა. ექვსივე ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციაში აღზრდილი ათლეტი იყო.

წინასწარ ვიტყვით: **საქართველოს წარგზავნილებმა ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში ორი პირველი, ერთი მეორე, ერთი მესამე და ორი მეოთხე ადგილი დაიკავეს.** კარგი შედეგია! ლოძის ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: **ავთანდილ გოგოლიშვილი (თბილისის ახკ, მწვრთნელები — ტარიელ ჭარბაძე და ვანო ნიკოლაძე), ზაზა თურმანიძე (თბილისის ახკ, მწვრთნელები — ჯონი ლორია და მარლენ ოხიკაშვილი).**

**მეორე ადგილზე გავიდა მამუკა რაზმაძე („შრომითი რეზერვები", პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი), მესამეზე — ზურაბ ტატუაშვილი (თბილისის ახკ, ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი), მეოთხეზე — დავით ხურცია (75 კგ.) და თამაზ ინდუაშვილი (100 კგ.).**

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სახსპორტკომიტეტის უფროს მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში **ომზარ შოშიტაშვილს**, რომელიც ჩვენს გუნდს ახლდა ლოძში.

● **ტურნირის შედეგებით, ცხადია, კმაყოფილი იქნებით?**

— კმაყოფილი როგორ არ ვიქნები, როცა ავთანდილ გოგოლიშვილმა და ზაზა თურმანიძემ ოქროს მედლები დაიმსახურეს და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულეს. ასეთი რამ ხშირად როდი ხდება.

● **გოგოლიშვილი და თურმანიძე, თუ არ ვცდებით, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში არიან და ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან. როგორ გამოუშვეს ისინი ლოძში?**

— ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა სწორად შეაფასა ამ ტურნირის მნიშვნელობა. იგი საკმაოდ პრაქტიკული კაცია და მიხვდა, რომ ამ ტურნირში მონაწილეობა ნაკრების წევრთათვის კარგი სკოლა იქნებოდა. როგორც ხედავთ, მწვრთნელის ვარაუდი გამართლდა. ბიჭებმა საწვრთნელი პერიოდიც ნაყოფიერად ჩაატარეს და გამოცდილებაც მიიღეს.

● **თვითონ ბიჭები რას ამბობენ?**

— გოგოლიშვილს ერთი ნაკლი აქვს: გადამწყვეტი ბრძოლების დროს ზომაზე მეტად ნერვიულობს, დაძაბულია და თავის შესაძლებლობებს სრულად ვერ ამჟღავნებს, მაგრამ ლოძში მას ეს დაძაბულობა ერთბაშად მოეხსნა. მითხრა, ადრე ენერგიის ნახევარს ვერ ვხარჯავდი, აქ კი ამის საშუალება მომეცაო. შეჯიბრება ყველაზე კარგი სკოლაა მოჭიდავისთვის და ვფიქრობ, რომ ყოველდღიურ ვარჯიშზე უფრო მეტი სარგებლობა სწორედ ასეთ ტურნირებს მოაქვს.

● **ზაზა თურმანიძე მძიმე წონაში გამოდიოდა. როგორ იჭიდავა?**

— კარგი იქნებოდა, ამერიკის გუნდს ლოძში ბაუმგარტნერი ჩამოჰყოლოდა. ახალგაზრდა მოჭიდავის შესაძლებლობებს მაშინ ადგილზე შევამოწმებდით. ისე, დღესდღეობით დავით გობეჯიშვილს საბჭოთა კავშირის ნაკრებში მხოლოდ ზაზა თურმანიძე თუ შეცვლის.

● **ტურნირის სხვა მონაწილეებზე რას გვეტყვით?**

— მამუკა რაზმაძე ახლოს იყო მიზანთან — ფინალურ შეხვედრას ფაქტიურად იგებდა, მაგრამ ბრძოლის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე როგორღაც მოეშვა და მეტოქეს გადამწყვეტი ილეთის ჩატარების საშუალება მისცა. რაზმაძის დონის მოჭიდავეს ასეთი უყურადღებობა, ისიც ფინალურ შეხვედრაში, არ ეპატიება. ზურაბ ტატუაშვილისგან მეტს მოველოდით, თუმცა ასეთ ტურნირში არც მესამე ადგილია ურიგო შედეგი.

● **უცხოელ მოჭიდავეთაგან ვინ გამოირჩეოდა?**

— ლოძის ტურნირი, როგორც მოგახსენეთ, წინ უსწრებდა მსოფლიო ჩემპიონატს და ამის გამო პოლონეთს ყველა ქვეყანა (საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის გარდა) ძირითადი გუნდებით ესტუმრნენ. ასე რომ, მეტოქეები ღირსეულნი იყვნენ. ჩვენც და შეჯიბრების სხვა მონაწილენიც ქალაქიდან 15 კილომეტრის დაშორებით, ტყეში ვცხოვრობდით. ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვქონდა — თავისუფალ დროს კონცერტებსა და სანახაობებს ვმართავდით. ჩვენი ბიჭები დაუახლოვდნენ უცხოელ მოჭიდავეებს, ბევრს დაუმეგობრდნენ. ჩემის აზრით ტურნირის ერთი მთავარი ღირსება ურთიერთგაგების ატმოსფერო იყო.

დასასრულს გაგაცნობთ წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულ მოჭიდავეებს: ი. მიტევი (ბულგარეთი), მ. ჰინკუ (რუმინეთი), რ. პავლოვი, ს. სტეფანოვი (ორივე — ბულგარეთი), ჯ. რეიესი (აშშ), კ. ტამადუიანუ (რუმინეთი), ა. გოგოლიშვილი (სსრ კავშირი), კ. ტომოვი (ბულგარეთი), ვ. პუშკაშუ (რუმინეთი), ზ. თურმანიძე (სსრ კავშირი).

### კასპაროვ — კარპოვის მატჩ-რევანშის ირგვლივ

# სიტუაცია დაიძაბა

**კარპოვის** ზედიზედ სამმა მოგებამ (მე-17, მე-18 და მე-19 პარტიებში) სამატჩო სიტუაცია უკიდურესად დაძაბა. ახლა თითოეულ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ლენინგრადში სამატჩო პრეს-ბიულეტენი გამოდის დიდოსტატ ალექსანდრე კოჩიევისა და საერთაშორისო ოსტატის, ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონ ალექსანდრე ხალიფმანის რედაქციით. ამ ბიულეტენში კარპოვი წერს:

— ლენინგრადში, ქალაქში, სადაც ადრე ვცხოვრობდი, ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვთამაშობ, რადგან მე აქ მთელი ცხრა წელი გავატარე. „ლენინგრადის ნახევრის" დაწყების წინ ვთქვი: თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით კი არა. ოპტიმისტი გახლავართ და შევეცდები მიზანს მივაღწიო. ფიზიკურად ძალიან კარგად ვარ მომზადებული. ძალა მთელი ამ მარათონის მანძილზე უნდა მეყოს.

ამავე პრეს-ბიულეტენის კორესპონდენტთან საუბარში მსოფლიო ჩემპიონმა განაცხადა:

— მე „ლენინგრადის ნახევარი" ისეთი განწყობილებით დავიწყე, თითქოს მატჩის ანგარიში 0:0 იყო. დავივიწყე, რომ ლონდონში ერთი ქულის უპირატესობა მქონდა. ისიც დავივიწყე, რომ მეთერთმეტე პარტია შემეძლო მომეგო, ახლა, ფაქტობრივად, ახალი მატჩი დაიწყო. აქამდე ბევრი ყაიმი იყო. რაიმე პროგნოზის გაკეთება ახლა უაზრობა იქნება.

ინგლისის ტელევიზიის მიმომხილველის, ცნობილი დიდოსტატის ჯონ ნანმის აზრით „ანატოლი კარპოვმა დაძლია დროებითი ფსიქოლოგიური ჩავარდნა და ახლა, როცა თეთრებით თამაშობს, მეტოქეს სულ უფრო და უფრო მეტ დაბრკოლებას უქმნის".

ბევრი მიმომხილველი იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ თეთრ ფერს მატჩში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება (ასე იყო მეთვრამეტე პარტიამდე). ბრიუსელის გაზეთ „სუარის" მიმომხილველი პერგერიჰტი წერს: „მსოფლიო პირველობების ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა თეთრ ფიგურებს ესოდენი მნიშვნელობა „ჰქონოდა". ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შავებით თამაში ამჯერად მსოფლიო ჩემპიონს უფრო უჭირს, ვიდრე მის მეტოქეს".

ახალგაზრდა დიდოსტატმა, ოსლოს გაზეთ „აფტანპოსტენის" მიმომხილველმა სიმენ აგდესტეინმა სწორედ გამოიცნო, რომ ასეთი მდგომარეობა მატჩ-რევანშში არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო: „შარშანდელ მატჩში კასპაროვმა თვალსაჩინო გამარჯვებები სწორედ შავებით მოიპოვა, თანაც მატჩის მე-2 ნახევარში. მე დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიო ჩემპიონს არაერთი სადებიუტო სიახლე აქვს შემონახული, რომელსაც მაშინ გამოიყენებს, როცა საამისო მომენტი დადგება. ეს სიახლეები სათანადო კორექტივს შეიტანენ ამა თუ იმ სადებიუტო ვარიანტის შეფასების საკითხში".

ახლა მიმომხილველების აზრი მკვეთრად გაიყო. ზოგი თვლის, რომ კასპაროვი შეძლებს წოდების შენარჩუნებას. რა თქმა უნდა, მომხრეები ჰყავს კარპოვსაც. საერთაშორისო ოსტატი ჯონ ბოტერილი ლონდონის ყოველკვირეულ „ნიუს სტეიტსმენის" ფურცლებზე წერს: „თუ დებიუტში გამოყენებულ სვლეთა რაოდენობას გავითვალისწინებთ, უპირატესობა კარპოვს უნდა მივანიჭოთ". ბოტერილი ასეთ საყურადღებო აზრსაც გამოთქვამს: „მატჩ-რევანშის დაწყების წინ მე იმ უმცირესობის რიცხვში ვიყავი, რომელიც მინიმალური უპირატესობით კარპოვის გამარჯვებას ვარაუდობდა. მატჩის პირველმა ნახევარმა ჩემი პროგნოზი არ დაადასტურა, მაგრამ, აზრი მაინც არ შემიცვლია, რადგან ბოლო პარტიებში კარპოვი თანდათან აუმჯობესებს თამაშს, მეტოქეს იმაზე რთულ პრობლემებს უყენებს ვიდრე თვითონ უხდება გადაჭრა".

ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოს" კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა დიდოსტატმა ვალერი ჩეხოვმა განაცხადა:

— გარი კასპაროვს შეუძლია მატჩი მოიგოს. მე ვიცი როგორი ბრძოლის უნარი აქვს გარის, თუნდაც იმიტომ, რომ 1982 წელს მსოფლიო პირველობის მოსკოვის საზონათშორისო ტურნირის დროს და შემდეგ, ბელიავსკისთან მატჩში, მისი ერთ-ერთი სეკუნდანტი ვიყავი.

ევროპის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის, 20 წლის საერთაშორისო ოსტატმა ალექსანდრე ხალიფმანმა „დოიჩეს შპორტეხოს" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ასეთი დონის მატჩის თამაშისას საკმარისი არ არის შეცდომა არ დაუშვა, აქ უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო.

ამასობაში კი მატჩის ფინიშიც მოახლოვდა.

### მთამსვლელობა

# პერსპექტიული ოთხეული იმედს ამართლებს

**ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მთამსვლელებმა: ცოტნე ჯავახიშვილმა (ხელმძღვანელი), მირიან სერებრიაკოვმა, ვანო ვაშაყმაძემ და გელა სულიკაშვილმა ტიან-შანზე დალაშქრეს ერთ-ერთი პოპულარული მწვერვალი „კარონა", რომელზეც მეხუთე ბასტიონის სამხრეთ აღმოსავლეთის 800-მეტრიანი კედელი დაძლიეს.**

ეს მარშრუტი საკავშირო ჩემპიონატებში წლების განმავლობაში საპრიზო ადგილებს იკავებდა და მეხუთე კატეგორიის სირთულით არის შეფასებული.

ჩვენი ოთხეული პერსპექტიულ მთამსვლელთა რიცხვს ეკუთვნის. ცოტნე ჯავახიშვილი პუშჩინოს ბიოლოგიური ცენტრის მეცნიერთანამშრომელია, მირიან სერებრიაკოვი და ვანო ვაშაყმაძე თბილისის უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობენ, ხოლო გელა სულიკაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტია. წლების განმავლობაში ისინი ერთად დადიან მთებში, მათ ტექნიკურ დაოსტატებაზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ კავკასიონზე მდებარე საკავშირო ბანაკ „ბეზინგში" ვარჯიშმა, სადაც მათ მაღალი ტექნიკური მომზადება მიიღეს. შარშან ეს ოთხეული მიწვეული იყო ყირგიზ მთამსვლელებთან, რომელთა ერთ-ერთ სექციას სათავეში უდგას ჩვენი თანამემამულე ლევან ალიბეგაშვილი. იგი სპორტის ოსტატი და ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონია. ახლა იგი ყირგიზეთში ცხოვრობს.

შარშან ჩვენი ოთხეული ფრუნზელ მთამსვლელებთან ერთად ტიან-შანზე, ინილჩეკის მყინვარზე ავიდა. იქიდან საქვეყნოდ ცნობილ მწვერვალ ხან-თენგრიზე დაიწყეს ლაშქრობა, მაგრამ უამინდობამ სპორტსმენები აიძულა 6600 მეტრი სიმაღლიდან დაბრუნებულიყვნენ.

წელს კვლავ ყირგიზეთის სპორტკომიტეტის მიწვევითა და თბილისის „ბურევესტნიკის" ხელშეწყობით პამირის მთიანეთს ეწვივნენ. საწვრთნელი ასვლა მოაწყვეს პამირ-ალაის რაიონში მწვერვალ ბეგიჩის კბილზე და სალიევას სახელობის პიკზე. ამ ასვლების შემდეგ მირიან სერებრიაკოვის ხელმძღვანელობით მათ დალაშქრეს მეხუთე კატეგორიის სირთულის მწვერვალი „უზბეკეთის 50 წლისთავი". შემდეგ მოულოდნელად სამაშველო სამუშაოების ჩატარება მოუხდათ, რაც საკმაოდ დამღლელი და სახიფათო აღმოჩნდა, მაგრამ სპორტსმენებმა თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი პირნათლად შეასრულეს.

ყირგიზეთის ფედერაციის შუამდგომლობით ჯგუფს ნება დართეს ასვლები ტიან-შანზე გაეგრძელებინა. იქ ჩვენი მთამსვლელები რაიონის გაცნობის მიზნით ავიდნენ ჯერ შედარებით იოლ მწვერვალ „ბოქსზე", ხოლო ბოლოს — უკვე ხსენებულ „კარონაზე".

ეს მწვერვალი მდებარეობს ყირგიზეთის ქედის განშტოებაზე, რომელიც ჩრდილოეთით 25 კილომეტრზეა გაჭიმული. აქ ამინდი არ არის მდგრადი, უმეტესად წვიმს და თოვს. მაგრამ ახლა ჩვენს მთამსვლელებს ეს საშიშროება არ ელოდათ და ასვლაც წარმატებით დამთავრდა.

**დენიზა გოზალიშვილი.**

რეტრო

# ეს იყო 1947 წელს...

ეს სურათი 1947 წელსაა გადაღებული მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე...

1947 წელი! დღევანდელმა ახალგაზრდებმა მხოლოდ კინოფილმებით, მხატვრული ნაწარმოებებით ან უფროსთა ნაამბობით თუ იციან რა ძვირფასი იყო ჩვენთვის ის შორეული, მაგრამ დაუვიწყარი დრო. ომი ახალი დამთავრებული იყო, ნაბრძოლი, არნახულ გაჭირვებასა და ხიფათს გადარჩენილი ხალხი წელში გაიმართა, თვალი გაახილა, ამოვისუნთქეთ ჩვენც—ნაომრებმა და მათაც, ვისაც უძვირფასესი, ახლობელი ადამიანები ჰყავდათ გაგზავნილი ფრონტებზე, გამოცოცხლდა, აფეთქდა მშვიდობიანი მაჯისცემა.

გამოცოცხლდა ქვეყნის სპორტული ცხოვრებაც, განახლდა საკავშირო ჩემპიონატები, მოხშირდა საერთაშორისო შეჯიბრებები, გუშინდელი ტყვია და ნაღმი მკლავის ღონემ და სიმარდემ შეცვალა...

მაშ ასე: 1947 წელი, მოსკოვის „დინამოს" მყუდრო სტადიონი და ეს ფოტო — ქამგამოვლილი, ოდნავ ჟანგმოკიდებული და მით უფრო ძვირფასი ფოტო. იგი ჩვენმა სახელგანთქმულმა მოჭიდავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ციმაკურიძემ მოგვიტანა რედაქციაში.

ეს-ეს არის დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა ესოდენ მნიშვნელოვან ასპარეზობაზე, ჩვენი მოჭიდავეები საპატიო დიპლომებითა და სამახსოვრო პრიზით ხელში წარსდგნენ ფოტოგრაფის წინაშე. ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი გუნდები.

ეს უტყუარი ისტორიაა: მათთან შეუპოვარ ბრძოლაში საქართველოს მოჭიდავეებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ფოტოგრაფმა აღბეჭდა ჩვენი ძველი ჩემპიონების სახეები. ვინ არიან ისინი? მარცხნიდან დგანან ლეონიდ ძეკონსკი, ილია ბობოხიძე, ვასო ილურიძე, ვახტანგ კუხიანიძე, ირაკლი ყიფიანი, კონსტანტინე ჯავახიშვილი, დავით ციმაკურიძე, ვალარშაკ მაჩკალიანი. ბევრი მათგანი ცოცხალი აღარაა დღეს, მაგრამ მათი სახელები დავიწყებას არ მიეცემა.



სულ ახლახან წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოჭიდავე, ჩინებული ადამიანი და უტყუარი მეგობარი, სამამულო ომის მონაწილე, ირაკლი ყიფიანი (სურათზე იგი მარცხნიდან მეხუთეა). ამ მეტად ძნელ ჩემპიონატში მან გამარჯვებები მოიპოვა უძლიერეს მეტოქეებთან შერკინებებში. ირაკლი ყიფიანი იყო მრავალმხრივი, უნივერსალური სპორტსმენი, კოლექტივის სული და გული, უპირველესი გამამხნევებელი და იმედის მომცემი, ხალისიანი, გულთბილი ადამიანი.

დავით ციმაკურიძემაც სწორედ ირაკლი ყიფიანისა და სხვათა გასახსენებლად მოგვიტანა ეს ძველი, ამჟამად სპორტულ ისტორიად ქცეული რელიკვია — ქამგადასული ფოტო...

**ბიჭიკო ქორქია**

### ფედერაციის თასზე

**26 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის II ტურის ოთხი მატჩი.**

კიევის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მარცხი განიცადეს დონეცკის „შახტიორთან" შეხვედრაში — 1:2. დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" მიიღო ოდესის „ჩერნომორეცი" და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 3:0.

ფრედ დამთავრდა მინსკის „დინამოსა" და ვილნიუსის „ჟალგირისის" შეხვედრა — 1:1. მოსკოვის სპარტაკელებმა ანგარიშით 1:0 მოუგეს ალმა-ათის „ქაირათს".

გუშინ შედგა ტურის მორიგი შეხვედრა: „დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) — 0:2. **ხვალ თბილისის დინამოელები შინ მიიღებენ ბაქოს „ნეფთჩის"**. ერევნის „არარატი" თავის მინდორზე შეხვდება ქუთაისის „ტორპედოს", ხოლო ლენინგრადის „ზენიტი" — ხარკოვის „მეტალისტს".

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეს არის ახალი სტადიონები, აუზები, მოედნები, სპორტული კომპლექსები

# სპორტული ლატარიები ფიზკულტურასა და სპორტს

**სპორტული ლატარიების — „სპორტლოტოსა“ და „სპრინტის-აბან“ მიღებული თანხით ჩვენს ქვეყანაში ასობით სპორტული ნაგებობა აშენდა, ბევრს რეკონსტრუქცია გაუკეთდა. ისინი ყოველდღიურად ფართოდ უღებენ კარებს სხვადასხვა ასაკის ასობით ფიზკულტურელს. ამაში გამოიხატება „სპორტლოტოს“ დევიზი — „იგებთ თქვენ, იგებს სპორტი“.**

**„სპორტლოტოს“ ტირაჟები ეწყობა კვირას. თამაშდება ფულადი მოგება 3-დან 10000 მანეთამდე. ლატარიის ბილეთი ტირაჟში ნომრების ორი ვარიანტით მონაწილეობს. იგი იგებს იმ შემთხვევაში, თუ ტირაჟის შედეგებს ერთ-ერთი ვარიანტის არანაკლებ სამი ნომერი დაემთხვევა.**

**„სპორტლოტოს“ ტირაჟებში მონაწილეობით თქვენ წვლილი შეგაქვთ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში, ე. ი. მილიონობით ადამიანის აქტიური დასვენების საქმეში.**

**ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ მოგებას თამაშში, წარმატებას ფიზკულტურასა და სპორტში!**

# ათჯერ უფრო სწრაფად

**თამაშის** ბევრ მოყვარულს ალბათ ჰქონია ასეთი დრამატული შემთხვევა. თამაშობთ ერთი და იმავე ნომრებით და ყოველთვის უიღბლოდ. შეცვალეთ ნომრები და... ნუ იტყვით — ლოტოტრონმა ადრინდელი ნომრები „გადმოყარა“. ამიტომ, თუ ყოველთვის ერთსა და იმავე ნომრებს გადახაზავთ, როგორც თამაშის პრაქტიკა გვიჩვენებს, ერთი და იმავე სახეობების ერთგულება, ბოლოს და ბოლოს შედეგს გამოიღებს და მოიგებთ.

რაკი გადაწყვეტთ ნომრები არ შეცვალოთ, ჯობს ისარგებლოთ ათტირაჟიანი ბილეთით. უპირველესად, ეს დროის ეკონომიას მოგცემთ. იმისათვის, რომ შეავსოთ „სპორტლოტოს“ 10 ბილეთი ერთ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად, უნდა გადახაზოთ 20 ვარიანტი — 360 ნომერი ლატარიაში „6 45-დან“, ან 300 ნომერი ლატარიაში „5 36-დან. ათტირაჟიან ბილეთში კი მხოლოდ ორი ვარიანტი და ათჯერ ნაკლები ნომერია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ათჯერ ნაკლებია შეცდომის შესაძლებლობა. როგორც ჩვენი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, შეცდომით შევსებული ათტირაჟიანი ბილეთები ერთტირაჟიანებზე 3-ჯერ ნაკლებია.

ასე რომ, ერთი ათტირაჟიანი ბილეთით შეგიძლიათ მოიგოთ რამდენჯერმე, ხოლო მისი შევსებისთვის ათჯერ ნაკლები დრო დახარჯოთ.

10-ტირაჟიანი ციკლის დროს მოგებები გროვდება პირად ანგარიშში, რომელსაც აწარმოებს სპორტული ლატარიების სამმართველო.

თუ ათივე ტირაჟის შედეგით მოგება 500 მანეთზე მეტი არ არის, იგი გაიცემა შემნახველ სალაროებში ბილეთის „ა“ ნაწილის წარდგენის შემდეგ.

500 მანეთზე მეტი ფულადი მოგება გაფორმდება სამმართველოში სპეციალური დავალებით.

10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებათა განაღდება დაიწყება ბოლო ტირაჟიდან 15 დღის შემდეგ ერთი თვის მანძილზე.

## „სპორტლოტო-86“ მოყვარულთათვის დარჩენილი ტირაჟების ნომრები და ჩატარების თარიღები

39-ე ტირაჟი — 28 სექტემბერს
მე-40 ტირაჟი — 5 ოქტომბერს
41-ე ტირაჟი — 12 ოქტომბერს
42-ე ტირაჟი — 19 ოქტომბერს
43-ე ტირაჟი — 27 ოქტომბერს
44-ე ტირაჟი — 2 ნოემბერს
45-ე ტირაჟი — 9 ნოემბერს
46-ე ტირაჟი — 16 ნოემბერს
47-ე ტირაჟი — 23 ნოემბერს
48-ე ტირაჟი — 30 ნოემბერს
49-ე ტირაჟი — 7 დეკემბერს
50-ე ტირაჟი — 14 დეკემბერს
51-ე ტირაჟი — 21 დეკემბერს
52-ე ტირაჟი — 28 დეკემბერს

# თამაში სისტემების მიხედვით

**სპორტული** ლატარიის ბევრ მოყვარულს უნებურად ებადება კითხვა: ხომ არ არსებობს ნომრების გამოცნობის რაიმე სისტემა, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იქნება რეგულარულად მოგება?

რა თქმა უნდა, ასეთი სისტემა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ყოველ ტირაჟში ლოტოტრონი ყრის მომგებიანი ბურთულების შემთხვევით ნაკრებს და პრაქტიკულად შეუძლებელია ამა თუ იმ კომბინაციის კანონზომიერების დადგენა.

„სპორტლოტოში“ მონაწილეობა უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდება, თუ ბილეთებს შევავსებთ არა ალალბედზე, არამედ გააზრებული სისტემით. ბილეთების შევსების ასეთი სისტემა შეიძლება მათემატიკურად ბევრი გაინგარიშო. მაგალითად, ლატარიაში „5 36-დან“ კომბინაციების მაქსიმალური რაოდენობა აღწევს 376992.

ბუნებრივია, ამდენი კომბინაციის შესავსებად ბილეთების ყიდვა პრაქტიკულად შეუძლებელია და არც არის საჭირო, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოგება ვერ აანაზღაურებს დანახარჯს, უფრო ჰკვიანურია ნომრების გარკვეული ჯგუფის შერჩევა და შესაბამისი სისტემით მისი გამოყენება ბილეთების შევსებისას.

შერჩეული ნომრების რაოდენობაზეა დამოკიდებული, თუ რომელ სისტემას უნდა მიენიჭოს უპირატესობა და რამდენი ბილეთი უნდა შეიძინო. ამრიგად, ბილეთების შევსება სისტემით, მართალია, მოგების გარანტიას არ იძლევა, მაგრამ წარმატების შანსს ზრდის.

როგორ დგება ბილეთების შევსების სისტემა?

„სპორტლოტოს“ მოყვარულებს ვთავაზობთ გაეცნონ ბილეთების შევსების მეთოდებს ქვემოთ მოყვანილი „5 36-დან“ ლატარიის სისტემათა მიხედვით.

მაგალითი: სისტემა სპორტის 10 სახეობა — 4 კომბინაცია

1. 1—3—5—7—9
2. 1—4—5—8—9
3. 2—3—6—7—10
4. 2—4—6—8—10

ბილეთის 36 ნომრიდან უნდა აირჩიოთ ნებისმიერი 10 ნომერი და ყოველ ნომერს მიაკუთვნოთ სისტემის ციფრი:

სისტემის ციფრები: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

არჩეული ნომრები: 5 13 22 8 30 11 28 19 27 36

ახლა სისტემაში ციფრები უნდა შეიცვალოს შესაბამისი ნომრით. ჩვენს მაგალითში კომბინაციები შემდეგ სახეს მიიღებს:

1. 5—22—30—28—27
2. 5—8—30—19—27
3. 13—22—11—28—36
4. 13—8—11—19—36

ამავე პრინციპს ეყრდნობა და ასევე დგება „6 45-დან“ ლატარიის სისტემები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ყოველ კომბინაციაში ხუთის ნაცვლად ექვსი ნომერია.

გთავაზობთ „სპორტლოტო 5 36-დან“ ბილეთების შევსების რამდენიმე სისტემას:

**6 ნომერი — 6 კომბინაცია**

1. 1—2—3—4—5
2. 1—2—3—4—6
3. 1—2—3—5—6
4. 1—2—4—5—6
5. 1—3—4—5—6
6. 2—3—4—5—6

**7 ნომერი — 21 კომბინაცია**

1. 1—2—3—4—5
2. 1—2—3—4—6
3. 1—2—3—4—7
4. 1—2—3—5—6
5. 1—2—3—5—7
6. 1—2—3—6—7
7. 1—2—4—5—7
8. 1—2—4—5—7
9. 1—2—4—6—7
10. 1—2—5—6—7
11. 1—3—4—5—6
12. 1—3—4—5—7
13. 1—3—4—6—7
14. 1—3—5—6—7
15. 1—4—5—6—7
16. 2—3—4—5—6
17. 2—3—4—5—7
18. 2—3—4—6—7
19. 2—3—5—6—7
20. 2—4—5—6—7
21. 3—4—5—6—7

**8 ნომერი — 8 კომბინაცია**

1. 1—2—3—5—7
2. 1—2—4—6—8
3. 1—3—4—5—7
4. 1—3—5—6—7
5. 1—3—5—7—8
6. 2—3—4—6—8
7. 2—4—5—6—8
8. 2—4—6—7—8

**11 ნომერი — 22 კომბინაცია**

1. 1—2—3—4—5
2. 1—2—6—7—8
3. 1—2—9—10—11
4. 1—3—6—7—9
5. 1—3—8—10—11
6. 1—4—6—7—10
7. 1—4—8—9—11
8. 1—5—6—7—11
9. 1—5—8—9—10
10. 2—3—6—8—9
11. 2—3—7—10—11
12. 2—4—6—8—10
13. 2—4—7—9—11
14. 2—5—6—8—11
15. 2—5—7—9—10
16. 3—4—6—9—10
17. 3—4—7—8—11
18. 3—5—6—9—11
19. 3—5—7—8—10
20. 4—5—6—10—11
21. 4—5—7—8—9
22. 1—5—6—7—11

## 1986 წლის გასული ტირაჟები

| | „6 45“-დან | „5 36“-დან |
|---|---|---|
| 1. | 44, 39, 14, 16, 3, 23 | 32, 22, 30, 7, 33 |
| 2. | 31, 14, 43, 27, 9, 29 | 10, 5, 18, 31, 12 |
| 3. | 41, 16, 11, 6, 17, 14 | 11, 12, 18, 6, 13 |
| 4. | 33, 24, 29, 16, 5, 1 | 20, 17, 36, 31, 4 |
| 5. | 36, 39, 23, 34, 18, 28 | 30, 31, 16, 5, 26 |
| 6. | 28, 39, 12, 34, 27, 9 | 6, 12, 9, 14, 19 |
| 7. | 18, 29, 42, 25, 34, 9 | 32, 8, 6, 26, 3 |
| 8. | 14, 29, 3, 11, 22, 41 | 35, 5, 32, 25, 3 |
| 9. | 4, 31, 21, 28, 11, 13 | 6, 12, 26, 3, 15 |
| 10. | 18, 28, 38, 12, 33, 6 | 2, 26, 17, 9, 35 |
| 11. | 24, 5, 36, 30, 1, 3 | 35, 8, 25, 17, 2 |
| 12. | 30, 9, 18, 42, 13, 45 | 34, 24, 29, 9, 11 |
| 13. | 31, 5, 35, 44, 21, 27 | 17, 18, 23, 28, 36 |
| 14. | 1, 28, 3, 5, 11, 7 | 20, 18, 26, 5, 19 |
| 15. | 7, 6, 45, 22, 27, 15 | 21, 7, 16, 11, 36 |
| 16. | 16, 7, 29, 40, 38, 26 | 36, 17, 13, 18, 29 |
| 17. | 18, 34, 16, 11, 7, 4 | 2, 31, 29, 17, 12 |
| 18. | 29, 3, 4, 17, 25, 20 | 10, 14, 6, 24, 5 |
| 19. | 28, 23, 8, 19, 15, 30 | 8, 5, 16, 27, 4 |
| 20. | 13, 18, 22, 33, 8, 34 | 23, 31, 28, 26, 15 |
| 21. | 6, 15, 21, 28, 32, 33 | 7, 9, 22, 28, 31 |
| 22. | 6, 11, 15, 32, 36, 37 | 9, 12, 13, 16, 24 |
| 23. | 2, 5, 15, 18, 28, 40 | 6, 9, 11, 17, 23 |
| 24. | 1, 3, 9, 20, 29, 36 | 15, 17, 22, 28, 33 |
| 25. | 3, 7, 11, 29, 40, 44 | 5, 10, 26, 31, 34 |
| 26. | 1, 4, 14, 16, 28, 33 | 5, 9, 11, 32, 35 |
| 27. | 2, 5, 22, 31, 40, 42 | 6, 8, 18, 24, 31 |
| 28. | 9, 12, 15, 37, 41, 44 | 8, 16, 20, 26, 28 |
| 29. | 3, 5, 10, 27, 41, 44 | 15, 17, 19, 22, 33 |
| 30. | 2, 11, 14, 27, 41, 45 | 11, 13, 23, 31, 36 |
| 31. | 2, 5, 29, 39, 42, 44 | 3, 15, 16, 22, 26 |
| 32. | 2, 5, 7, 10, 11, 36 | 4, 17, 20, 28, 36 |
| 33. | 8, 10, 16, 17, 29, 42 | 1, 2, 17, 18, 22 |
| 34. | 8, 21, 25, 28, 29, 35 | 5, 8, 18, 19, 28 |
| 35. | 3, 11, 13, 20, 29, 30 | 15, 17, 18, 29, 30 |
| 36. | 2, 7, 17, 21, 40, 42 | 6, 20, 25, 27, 32 |
| 37. | 1, 3, 12, 13, 40, 41 | 2, 18, 24, 32, 35 |
| 38. | 7, 8, 10, 25, 33, 43 | 3, 4, 14, 16, 31 |

# „სპორტლოტოს“ მოყვარულებს შევახსენებთ

რომ პრეტენზიები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზუსტადაა მითითებული „სპორტლოტოს“ ყუთის ნომერი და ადგილმდებარეობა, რომელშიც ჩაშვებულია ბილეთის „ბვ“ ნაწილი.

ბილეთის შევსებული „ა“ ნაწილი აკურატულად მოჭერით და შეინახეთ. „ბვ“ ნაწილი გაუცალკევებლად ჩაუშვით „სპორტლოტოს“ ყუთში ზუსტად მითითებულ ვადებში.

მკაცრად დაიცავით თამაშის წესები!

დაიხსომეთ, რომ ამ მონაცემების გარეშე პრეტენზიები არ განიხილება.

**სპორტული ლატარიების მოყვარულთა კონკურსი**

# „სპორტლოტო-86“ გრძელდება

კონკურსში თამაშდება 40 ავტომანქანა „ჟიგული“.

კონკურსის პირობებით თამაშის მონაწილეები, რომლებიც გამოიცნობენ „6 45-დან“ ექვს, ხოლო „5 36-დან“ ხუთ სახეობას, ფულადი მოგების გარდა მიიღებენ მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგულის“ ნაღდ ანგარიშზე ურიგოდ შესაძენ ტალონს.

კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ საქართველოს სსრ-ში შეძენილი ბილეთები, რომელთა „ბვ“ ნაწილი ჩაშვებული იქნება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე „სპორტლოტოს“ ყუთებში.

ტალონი გაიცემა ტირაჟიდან 15 დღის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში.

წლეულს ჩატარებული ტირაჟების შედეგებით „ჟიგულის“ მფლობელები გახდნენ თბილისელები ს. ასლანიანი, რ. კაჭარავა, ვ. მირიანაშვილი, პ. ყულოშვილი, ნ. ყავლაშვილი, ზ. ნარგიზაშვილი, გ. და ვ. სეინიშვილები, მ. სონღულაშვილი, ზ. ინასარიძე, ტ. ბლიაძე, გ. ლაბარტყავა, კ. ალიმბარაშვილი და ი. გოგიაშვილი; სოხუმელები — მ. მელიავა და ა. ზებელიანი, ქუთაისელი ბ. ვარდოსანიძე, გალელი ზ. ზაქარაია, გაგრელი გ. ფოფხაძე, ა. ისმაილოვი ბოლნისის რაიონის სოფელ მუღანლოდან, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მცხოვრები კ. მელითაური, ა. ილიაზოვი გარდაბნის რაიონიდან, მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს მცხოვრები ი. ბასილაშვილი.

„სპორტლოტოს“ მოყვარულთა კონკურსი გრძელდება. „ჟიგულები“ ახალ მფლობელებს ელიან.

მიიღეთ მონაწილეობა კონკურსში!

**„სპორტლოტოს“ ტირაჟები ეწყობა კვირაობით ფულადი მოგება 3-დან 10000 მანეთამდეა გისურვებთ წარმატებას, ძვირფასო მეგობრებო!**

**მზად ვართ გემსახუროთ!**

ჩვენი მისამართი: 380019, თბილისი — 19, ელიავას ქ. № 26. ტელეფონები: 34-53-42, 34-38-00, სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05831